



გურეთის მასხნა

ენციკლოპედიის საინფორმაციო ბაზაში №10 2011 წ. 16-31 ოქტომბერი ფასი 50 თეთრი

დაითავრდა „როველი-2011“



მიერ გამოყოფილმა სუბსიდიებმა მართლაც რომ დიდი რეზონანსი გამოიწვია მევენახეებში. ამასთან, ყურძნის გადამამუშავებელ ქარხნებში კარგად ორგანიზებულმა მიღება-ჩაბარების პროცესმა ბევრ გლეხს სტიმული მისცა აღარ გაეწია ზედმეტი ხარჯები ყურძნის დედაქალაქში ტრანსპორტირებისათვის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ყურძნისა და ღვინის გადამამუშავებელ ქარხნებს მიაშურეს, სადაც აღარც ქაოსი, რიგები, მანქანებიდან გადმოსული ყურძნის წვენიდან დაბინძურებული მისაღომები და აყალმაყალი აღარ ხვდებათ ბოლო წლებში აქ მოსულ გლეხებს. 25 ოქტომბრისათვის თითო-ორი სოფელშიდა შემოინახეს გლეხებმა ყურძენი, ვინ ნაგვიანები სტუმრებისათვის, ვინ ყურძნის შესყიდვაზე გვიან მოფიქრებული თბილისელისა და ადგილობრივისათვის.

როგორ ჩაიარა „როველი-2011“-მა ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, საუბარი ვთხოვეთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს ბ-ნ **ბიძა ჩალათაშვილს**.

– საუბარი იმაზე, თუ რა ძალისხმევასა და ენერჯიას, ყურადღებას და გარკვეულ ფულად სახსრებს მოითხოვს ვაზის მოვლა-პატრონობა, ალბათ შორს წაგვიყვანს. გლეხს ვენახის მოვლა ისე არ უჭირს, როგორც რთვლის დადგომისას მოყვანილი მოსავლის აღება-დაბინავების საკითხი. ზოგ მევენახეს 10-20 და უფრო მეტი ჰექტარი ვენახი აქვს. რეალურად შეუძლებელია ამ ფართობზე მოყვანილი მოსავლის ისე დაბინავება საოჯახო პირობებში, რომ არ გაუჭირდეს. ამიტომაც შესთავაზა სახელმწიფომ – გლეხს ყურძენი ყურძნისა და ღვინის გადამამუშავებელი ქარხნებისათვის მიეყიდა და თუ 1 კგ. საფერავის ჯიშის ყურძენს ქარხანა 40 თეთრად შეიძენდა, სუფსიდიის სახით სახელმწიფო მას კილოგრამზე 25 თეთრს სთავაზობდა. რაც შეეხება რქაწითელის ჯიშის ყურძენს, 1 კგ-ის ღირებულებაზე – 30 თეთრზე სახელმწიფო 15 თეთრის სახელმწიფო სუბსიდიებს

ქროსფერებით შემოგვეპარა შე მოდგომა. წლევეანდელმა ყურძნის უხემა მოსავალმა მართლაც რომ გაახარა გლეხ-კაცი. უფრო მშვიდად, კახური სიძინჯით შესვლენ კახელ სხვა მევენახეებთან ერთად ჩვენი მუნიციპალიტეტის მევენახეებიც წლევეანდელ როველს – სახელმწიფომ აგერ, მერამდენე წელიწადია ხელი შეაშველა, გვერდით დაუდგა მევენახეს, რათა დროულად, უდანაკარგოდ აიღოს ყურძნის მოსავალი და მისთვის სარფიან ფასში მიყიდოს ყურძნისა და ღვინის გადამამუშავებელ ქარხნებს. საფერავისა და რქაწითელის ჯიშის ყურძენზე სახელმწიფოს

სთავაზობდა მევენახეს. ეს შეთავაზება სახელმწიფოს მხრიდან მისაღები აღმოჩნდა გლეხისათვის და მართლაც მშვიდ, გარემოში ჩაიარა წლევეანდელმა რთვლის კამპანია. რთველი 15 სექტემბრიდან შიბლიანელმა და ბოგდანიოკელმა, კაკაბელმა და ჩაილურელმა, ყანდაურელმა და ბაღდაურელმა მევენახეებმა დაიწყეს, რადგან სწორედ ამ სოფლებში უფრო ადრე შედის სიმწიფეში ყურძენი, ვიდრე საგარეჯოში, ნინოწმინდასა და დანარჩენ სოფლებში.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში „როველი-2011“-ის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით შექმნილი რაიონული შტაბის (უფროსი სანდრო ერბოწონაშვილი, მთავარი – დავით ბაკურაძე) შემადგენლობამ ზუსტად გათვალა ყველაფერი და ყურძნისა და ღვინის გადამამუშავებელ ქარხნებში მოსულ გლეხს მართლაც რომ მისთვის შესაფერისი პირობები ხვდებოდა. ქარხნებში 24 საათიანი მუშაობა და მორიგეობა იყო შემოღებული. ქარხნების მუშაობას მუდმივად ვადევნებდით თვალყურს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს ხელმძღვანელი პირები, თანამშრომლები. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მევენახეებს ყურძნისა და ღვინის გადამამუშავებელ ქარხნებში რთვლის პერიოდში რამდენჯერმე შესვდნენ და გაესაუბრნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მაშინდელი მინისტრი ბაკურ კვეხერელი და საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული კახეთის მხარეში ბ-ნი გიორგი ღვინიაშვილი.

25 ოქტომბრისათვის ჩვენი მუნიციპალიტეტის ყურძნისა და ღვინის გადამამუშავებელ ქარხნებში მევენახეებმა 2190 ტონა საფერავი და 281 ტონა რქაწითელის ჯიშის ყურძენი მიიტანეს, ნაწილის რეალიზაცია კი აგრარულ ბაზრებსა და ყურძნის შემსყიდველებზე მოახდინეს.

რა შეიძლება ვთქვათ რთვლის მიწურულს? ბედნიერებასა და შვილთა სიმრავლეში მოახმაროს ყველას წლევეანდელი მოსავალი და მშვიდობიან ვითარებაში ეხეიძოს გლეხკაცს თავისი შრომის დაფასება.

ჩაიწერა: თინა ილაურმა

პრემილიზი დავით ბაკრაძე საგარეჯოელების რთველში



15 ოქტომბერს საგარეჯოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაკრაძე და უმრავლესობის წევრები ესტუმრნენ. ისინი ქვრივიშვილებს ყურძნის მოსავლის აღებაში დაეხმარნენ.

„როველი არის გლეხის მთელი წლის შრომის შეჯამება. ჩვენი ამოცანაა გლეხობამ კიდევ უფრო მეტი თანხა მიიღოს იმ შრომის დასაფასებლად, რაც ვაზის მოვლას სჭირდება“ – აღნიშნა დავით ბაკრაძემ.

რთველში მონაწილეობის მიღებამდე, საგარეჯოში საპარლამენტო უმრავლესობის სხდომა ჩატარდა, რომელსაც კახეთის გუბერნატორი გიორგი ღვინიაშვილი და სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ კვეხერელი დაესწრნენ.

სხდომაზე იმსჯელეს იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა კახეთში „როველი 2011“-ის ორგანიზებულად ჩასატარებლად.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის პრესსამსახური

ინფრასტრუქტურა



მესამე გვერდი

ცხოველების თურქული და მასთან ბრძოლის წესები



მეოთხე გვერდი

როგორ ვიზრუნო ვიდეალურა სულაისათვის



მეექვსე-მეშვიდე გვერდები

თათარობა



მერვე გვერდი



გამგეობის თათბირის დღიურიდან



18 ოქტომბერი, 2011 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირს ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების უფროსები, პრესსამსახური, ტერიტორიული ერთეულები რწმუნებულები. თათბირს უძღვებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგეობის მოადგილეები: შალვა ჯაბადარი და გონა ჩერქეზიშვილი. როგორც რწმუნებულებმა აღნიშნეს, ზოგიერთ სოფელში კვლავ გრძელდება რთული მდგომარეობა უმეტესობაში ჩაბარა ყურძნისა და ღვინის გადაამაშვებელ ქარხნებს ყურძენი და პარალელურად, ყურძენს კერძო პირებსაც კიდიან.

თათბირზე საგარეჯოს მუნიციპალი-

ტეტის გამგეობის მოადგილეებმა დაწვრილებით გამოიკითხეს თითოეულ ტერიტორიულ ერთეულში არსებული დღევანდელი ის პრობლემები, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის დაუყოვნებლივ ჩარევას და გადაჭრას თუ მოითხოვეს.

25 ოქტომბერი, 2011 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირს უძღვებოდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მოადგილეები: შალვა ჯაბადარი და გონა ჩერქეზიშვილი. თათბირს ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების უფროსები, პრესსამსახური, ტერიტორიული ერთეულების რწმუნებულები.

თათბირი დაიწყო რთველის საკითხის განხილვით. როგორც შიბლიანისა და ხაშის რწმუნებულებმა აღნიშნეს, აქაურ გლეხებს შემონახული აქვთ ვენახები ყურძნის მაღალ ფასში სარეალიზაციოდ. რთველი კი სხვა სოფლებში თითქმის დამთავრდა.

განსაკუთრებული ინტერესი გამიზინებს თათბირის მონაწილეებმა ცხოველთა დაავადება თურქულის მიმართ, რომელიც ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავრცელდა. თათბირზე სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონალური სამმართველოს ვეტიპედიკალ-

ისტმა საგარეჯოში ბ-ნმა ჯიმშერ ოსიაშვილმა თათბირის მონაწილეებს გააცნო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამ მხრივ არსებული მდგომარეობა და პროფილაქტიკური ღონისძიებების სქემა. როგორც მან აღნიშნა, პირუტყვის თურქულის საწინააღმდეგო აცრები სახელმწიფო პროგრამით უფასოდ ჩატარდება იმ სოფლებში, რომელთა ახლოს ვადის ცხოველთა საზაფხულო საძოვრებზე გადასარეკი ტრასა, ასევე, აგრარულ ბაზრებთან ახლოს მდებარე სოფლების პირუტყვისთვის. უკვე აიცრა პირუტყვი ხაშში, კრასნოვოროკაში, საგარეჯოს პირუტყვის ცალკეულ სადგომებში. რაც შეეხება დიდი და პატარა ჩაილურის, მანავის, თხილთაურის, კაკაბეთის, შიბლიანის, გომბორის, კოჭბანის მოსახლეობის კუთვნილ პირუტყვს, ისინი მეპატრონეებმა თავიანთი სახსრებითა და კერძო ვეტექიმებთან შეთანხმებით უნდა აცრან. აქვე იყო კითხვებიც, რომლებიც პირუტყვის მფლობელ პირებსაც დააინტერესებო. კერძოდ, როგორც ბ-ნმა ჯიმშერ ოსიაშვილმა დასძულ კითხვებს უპასუხა, ახლა ჯილდებსაც უნდა აიცრას პირუტყვი. თურქულზე აცრისაგან 21 დღის გასვლის შემდეგ პირუტყვი შეიძლება აიცრას ციმბირის წყალზე, ე.ი. ჯილდებსაც პირუტყვის დაკვლა და საკვებად გამოყენება შეიძლება თურქულზე აცრიდან 3 კვირის, ხოლო ჯილდებსაც – 2 კვირის გასვლის შემდეგ.

აქვე კვლავ წამოიჭრა მწვავე საკითხი, რომელიც პირუტყვის საზაფხულო საძოვრებზე გადასარეკი ტრასის სოფლებზე გადმონაცვლებით იქმნება. გარდა ცხოველთა ინფექციური დაავადებების გავრცელებისა, ფარებს ადვენებულმა მგლებმა მართლაც დიდი ზიანი მიაყენა

სოფლების მოსახლეობას.

როგორც მუნიციპალიტეტის გამგეობის მოადგილე ბ-ნმა შალვა ჯაბადარმა აღნიშნა, მგლების რიცხოვნობის შესამცირებლად მუნიციპალიტეტის გამგეობამ და საკრებულომ დასახა მთელი რიგი ღონისძიებები, რომელთა განხორციელებას უახლოეს დღეებში შეუდგებიან.

თათბირზე მოისმინეს გომბორის, ხაშის, უდაბნოს, მანავის, შიბლიანის, ბოგდანოვის, ბადაურის, ყანდაურის, კაკაბეთის ტერიტორიული ერთეულებისა და ქ. საგარეჯოს რწმუნებულის ზეპირი ინფორმაციები „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ და რეგიონალური განვითარების ფონდის, სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის დაფინანსებით მიმდინარე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების მდგომარეობა. ამასთან, მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა ბ-ნმა გიორგი ქვლივიძემ გააკეთა ზეპირი ინფორმაცია აღნიშნული სამსახურის მიერ გატარებულ იმ ღონისძიებებსა და ზომებზე, რომლის გატარებაც მათ დასჭირდათ უდაბნოს მცხოვრებთათვის სასმელი წყლის უწყვეტი მიწოდებისათვის – კერძოდ, შემოწმდა წყლის ამ ტრასასთან ახლომდებარე პირუტყვის სადგომებში წყლის მოხმარების მდგომარეობა, რითაც ადგევილ იქნა წყლის უმიზნო ხარჯვის შესაძლებელი ფაქტები.

თ. ილაური



მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების პატივისცემა და ბუნებრივი რესურსების რეგულირება



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული დებულებით წარმართავს თავის მუშაობას. კომისიის თავმჯდომარეა **ივანე ბრძილაშვილი**, რომელიც დღეს ჩვენი გაზეთის ნომრის სტუმარია და გაზეთის მკითხველს ესაუბრება სწორედ კომისიის უფლებამოსილებისა და ამ კომისიის მიერ განვლილ თვეებში გაწეული მუშაობის შესახებ.

ივანე ბრძილაშვილი ნინოწმინდელია, საკრებულოში დეპუტატად არჩევამდე მუშაობდა მაშინდელი ნინოწმინდის თემის გამგებლად, ამჟამად იგი საკრებულოს ორი მოწვევის დეპუტატია.

– ბატონო ივანე, ჩვენი საუბარი დაიწყოთ კომისიის უფლებამოსილებით, რათა მკითხველი ადვილად გაერკვეს, რის უფლებას აძლევს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარესა და კომისიის წევრებს, და საერთოდ, რატომ იქმნება კომისია, რა სტატუსი აქვს მას?

– დიახ, დავიწყოთ იმით, რომ „ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისია უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საკრებულოს დებულებით ე.ი. რეგულაციებით და ამავე დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელებას. საერთოდ, კომისია კი იქმნება იმიტომ, რომ დებულებით დადგენილი საკითხები საკრებულოში წინასწარ მომზადებას, გადაწყვეტილებათა შესრულებას ხელი შეუწყოს და გამგეობისა და მის სტრუქტურულ ერთეულებს გაუწიოს კონტროლი. რაც შეეხება კომისიის უფლებამოსილებას, გეტყვით, რომ ჩვენი კომისია განხილავს და შემდგომ საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს, რეკომენდაციებს და დასკვნებს. ადგენს თვითმმართველი ერთეულის ქონების შექმნის, ფლობის, სარგებლობისა და ქონებით სარგებლობის წესებს, ასევე, განხილავს კერძო სამართლის იურიდიული პირების შექმნის რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას, ამტკიცებს თვითმმართველი ერთეულის ქონების საპრივატიზებო საწყის ფასისა და სარგებლობის ქირის ოდენობას, ასევე, ადგენს თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონით ფორმის პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპურ ფორმას. კომისიის მიერ ხდება ბუნებრივი რესურსების დაცვისა და განვითარების პროგრამების დამტკიცება, ასევე, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყისა და ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის რესურსების მართვის წესების დადგენა. საჭიროა აქვე ითქვას ისიც, რომ კომისია ახორციელებს საკრებულოს დებულებით და საკრებულოს დავალებით კომისიისათვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებასაც და ამასთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამდებობის პირები კომისიის მოთხ-

ოვნით ვაღიარებულნი არიან კომისიის მიერ დადგენილ ვადაში წარუდგინონ კომისიას შესაბამისი დოკუმენტები, დასკვნები და სხვა მასალები, დაეწიონ კომისიის სხდომებს, პასუხი გასცენ კომისიის მიერ დასმულ შეკითხვებზე და წარმოუდგინონ კომისიას ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

– თავად კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილებაში რა შედის?

– ამ თანამდებობაზე არჩევა და გადარჩევა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით ხდება. მაგრამ, რაც შეეხება უფლებამოსილებას – კომისიის თავმჯდომარე იწვევს და წარმართავს კომისიის სხდომას, შემდეგ ადგენს და კომისიის სხდომასე განიხილავს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს კომისიის დებულებას. კომისიის თავმჯდომარე არის კომისიის წარმომადგენელი ყველგან, კონკრეტულად იგი გამოდის კომისიის სახელით საკრებულოში და როგორც გითხარით, მის ფარგლებს გარეთაც. იგი ანაწილებს კომისიის წევრებს შორის ფუნქციებს, აძლევს მათ დავალებებს, ამავე დროს ადგენს კომისიის სამუშაო გეგმებს და საკრებულოს ბიუროს დასამტკიცებლად წარუდგენს მანვე უნდა უზრუნველყოს სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელება, იგი იწვევს ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებს, ექსპერტებს და სპეციალისტებს კომისიის სხდომაში მონაწილეობისათვის. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კომისიის თავმჯდომარე აკონტროლებს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებების შესრულებას და საკრებულოს წარუდგენს წლიურ ანგარიშს კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

– ეთქვათ და თქვენ არ იმყოფებით

ადგილზე, და არც დაეალება გაქვთ მიცემული, რომ ამ შემთხვევაში თქვენი მოვალეობა შესასრულოს კომისიის ერთ-ერთმა წევრმა, მაშინ?

– ამაზე არსებობს წესი – კომისიის თავმჯდომარის გადადგომის, გადაყენების, მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობის ან მისი, როგორც საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში. კომისიის თავმჯდომარის დავალებით, კომისიის ერთ-ერთი წევრი ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას. მაგრამ, კომისიის თავმჯდომარის დავალებების არ არსებობის შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარის უფლება-მოვალეობებს ასრულებს კომისიის უხუცესი წევრი.

– გაგვაცანით კომისიის წევრები.

– კომისიაში სულ შვიდი კაცი ვართ. წევრები არიან: ზაზა ჭიაბერაშვილი, გიორგი ფირყულაშვილი, კახაბერ ლაფერიშვილი, დავით როსტომაშვილი, გიორგი ობოლაშვილი, ეკა ბუზარიაშვილი.

სწორედ ამ კომისიას, მის წევრებს განხილული გვაქვს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების სამსახურის დებულების პროექტი. ასევე, ის პროექტები, რომლებიც კომისიის მიერ იქნა გადაცემული ჯერ საკრებულოს ბიუროსე განხილველად და შემდეგ კი საკრებულოს სხდომაზე იქნა დამტკიცებული.

ამასთან, ჩვენს კომისიას აქვს განხილული და ჩატარებული ზეპირი მოსმენები სხვადასხვა ადმინისტრაციულ საჩივრებზე, რომლებიც შემდგომ განხილვა საკრებულოს ბიურომ და საკრებულომ შესაბამისი განკარგულებაც მიიღო.

ჩაიწერა თინა ილაურმა

როგორც ჩანს, მგლები „გაუინაუკებას“ გვიჩივებენ

ჩვენი გაზეთის მესამე ნომერში, სათაურით „მგლები ზაფხულშიც არ გვასვენებენ“ დაიბეჭდა წერილი იმ ზარალის შესახებ, რაც უკანასკნელ ხანებში საგრძობად მომრავლებულმა მგლებმა მიაყენეს სოფელ მანავსა და საერთოდ, რაიონის მოსახლეობას. კერძოდ, წერილში მოყვანილი იყო ფაქტები მგლების მიერ მოსახლეობის პირუტყვის განადგურების შესახებ. მის შემდეგ რაიონის მოსახლეობის უმეტესობამ საქონელი საზაფხულო იალაღებზე გადარეკა და როგორც წესი, მგლებიც საქონელს აედევნენ. ამის გამო მოსალოდნელი იყო, რომ ისინი ამის შემდგომ მაინც მოასვენებდნენ ხალხს, მაგრამ სოფელ მანავში მგელმა ჯერ თ-დს დაუგლიჯა სახედარი, შემდეგ კი თ. გ-ს კუთვნილი ძროხა დაკბინა. საბედნიეროდ, პატრონებმა დროზე გაიგეს მგლის თავდასხმის შესახებ, შეძლეს მისი განდევნა და პირუტყვი გადაარჩინა. დაზარალებულის თქმით, ეს ბებერი მარტოხელა მგელი იყო, რომელმაც ალბათ ვერ შეძლო მთაში წასვლა და აღვიღზე ნადირობით აპირებდა ზაფხულის გატარებას.

ამ ამბიდან ცოტა ხნის შემდეგ მგელი დღისით, დაახლოებით 16 საათისათვის ნახეს მანაველმა მწყემსებმა, რომლებიც მინდორში ძროხებს



მწყევსამდნენ. მგელმა მათ სულ რაღაც 100-150 მეტრში ჩაუარა და გეზი სოფლისაკენ აიღო. როგორც ჩანს, იქ სადმე ლემი ვეღლე ბოდა, ან ახალ საკბილოს ეძებდა.

ახლა, როცა საქონლის ზამთრის საძოვრებზე დაბრუნების დრო დადგა და მეცხოველეებმა ცხვარ-ძროხა მთიდან ჩამორეკა, მგლებმა ჩვეული სითამამით თავი ისევ შეგვახსენეს. მგლებმა კაკაბეთში ცხვარი გომურიდან გაიტაცეს, ამასთან რამდენიმე დაგლიჯეს კიდევ. მათი ასეთი აგრესიულობა სოფლის საქონლის მიმართ არ

ახსოვს უხუცეს მწყემსებსაც კი და ამას მათი რიცხოვნების მომატებით ხსნიან, – მგლების სიმრავლემ მათი საკვების შემცირება გამოიწვია და ისინი იძულებულნი არიან ამ რისკზე წავიდნენ, – აცხადებენ ისინი. ეს ალბათ ასეცაა და მსგავსი შემთხვევები კიდევაც განმეორდება თუ რაიმე კონკრეტული ზომები არ იქნება მიღებული მგლების მიმართ.

ცნობილია, რომ კანონმდებლობა კრძალავს მგლებზე ნადირობას და მათ განადგურებას, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ

ისინი ზიანს არ აყენებენ მოსახლეობას და მათ პირუტყვს. ამაზე მეტი ზიანი რაღა უნდა იყოს? ისინი დღისით-მზისით უვარდებიან ხალხს ბინებში, ძროხასა და ცხვარ-ბატკანს სტაცებენ ან სასიკვდილოდ კბენენ. ამ რამდენიმე წლის წინ კი, როგორც ჩვენს მკითხველს ახსოვს, გიორგიწმინდის ტყეში მგლებისგან შეჭმული ქალის ნაშთებია იპოვნეს...

აღნიშნულ თემაზე ჩვენ ვესაუბრეთ საგარეჯოს მონადირეთა კლუბის ხელმძღვანელს ზვიად ჭიკაძეს. როგორც მან აგვისხნა, შეიძლება მგლების განადგურების მიზნით მოეწყოს კოლექტიური ნადირობები, მაგრამ ამას სათანადო დაფინანსება და ხელშეწყობა სჭირდება. როგორც ცნობილია, მგელი საკბილოს მოსაძებნად ხშირად გადაადგილდება. დღეს რომ საგარეჯოს ბოლოში ან უდაბნოშია, ხვალ შეიძლება ტყეში ან სულაც თელავში აღმოჩნდეს. მათ დევნას მონადირეთა გადაადგილება, კვება, ტყეაწამალი და ა. შ. სჭირდება, რისი ფინანსური საშუალება ჩვენს საზოგადოებას ნამდვილად არა აქვს. თუ შემდგომი ორგანოები არ დაგვეხმარნენ, ჩვენ ჩვენი ძალებით ასეთი ღონისძიებების გატარების საშუალება ნამდვილად არ გვაქვს.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას კი უკვე დაგეგმილი აქვს მგლებზე სანადიროდ საჭირო ღონისძიებები.

გივი დაბახიშვილი

ცხოველების თურქული და მასთან ბრძოლის წესები

უკიდრემის მიწურული ცხოველებში თურქულის გავრცელების ყველაზე საშიში დროა. როგორც ცნობილია, ამ პერიოდში ხდება საზაფხულო იალაღებიდან პირუტყვის ზამთრის საძოვრებზე დაბრუნება, რაც წინასწარ დადგენილი ე.წ. პირუტყვის გადასარეკი ტრასებით ხორციელდება. საქმარისია ამ ტრასებზე სულ რამდენიმე თურქულით დაავადებული ცხოველის მოხვედრა, რომ ამ ვირუსით შემდეგ სხვა ცხოველებიც დაავადდნენ. განსაკუთრებით ამ ვირუსის მატარებლად ცხვარი სახელდება, რომლის მიიდან დაბრუნებას მუდამ მოსდევს ცხოველებში თურქულის მასიურად „აფეთქება“. გამონაკლისი არც წლეუნიდელი შემოდგომაა. ვერხიანის, კაკაბეთის, ახერბაიჯანელებით დასახლებული სოფლების პირუტყვში უკვე კარგა ხანია დაფიქსირდა ეს დაავადება, ზოგიერთ სოფელში კი, როგორც ჩვენებურები ამბობენ ხოლმე, თურქულისაგან პირუტყვი „თაფად“ არის ჩავარდნილი.

რედაქცია დაუკავშირდა სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონალურ სამმართველოს, საიდანაც სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისაკენ მივვითითეს. როგორც ამ სამსახურის უფროსმა განგვიმარტა, სახელმწიფო დაფინანსებას მხოლოდ სასაზღვრო ზონების ცხოველთა გადასარეკი ტრასების მიმდებარე და ბუფერული ზონების მოსახლეობის პირუტყვის აცრებს, დანარჩენმა მოსახლეობამ დაავადების მოსალოდნელი გავრცელებისგან თავის დასაზღვევად თავიანთი ძალებით უნდა მოახდინონ პირუტყვზე თურქულის აცრები (ერთი სული მსხვილფეხას აცრა 3 ლარი). როგორც შემდგომ გაირკვა, აიცრება იმ მოსახლეობის პირუტყვიც, რომლებიც საქონლის ბაზრობებს ემიჯნებიან, კონკრეტულად, თუ ჩვენი მუნიციპალიტეტის რომელი სოფლების პირუტყვზეა საუბარი, უნდა ვივარაუდოთ, რომ ალბათ ეს იქნება რაიონის ახერბაიჯანელებით დასახლებული სოფლების, კრანსოგორის, უდაბნოს, პატარაქულის და ბადიაურ-ყანდარის მოსახლეობის პირუტყვი, რომლის აცრაც უკვე მიმდინარეობს. თურქული შინაური და გარეული წყვილნი

ქიანი ცხოველების ინფექციური, მწვავე მიმდინარე სწრაფად გავრცელებადი ვირუსული დაავადებაა, რომელიც დიდ ეკონომიკურ ზარალს იწვევს.

საერთაშორისო ვეტერინარულ კოდექსის მიხედვით მას ტუბერკულოზის გადასაღებ დაავადებათა ნუსხაშია ჯგუფის დაავადებებს შორის პირველი ადგილი უკავია. დაავადების აღმქველი ვირუსი გამოირჩევა ანტიგენური სხვადასხვაობით. სადღეისოდ ცნობილია მისი შვიდი ტიპი: თ, ა, ც, ხატ-1, ხატ-2, ხატ-3, აზია-1, აქედან ვირუსის თითოეულ ტიპს აქვს რამდენიმე ვარიანტი შეიძლება. ერთი ტიპის ან ვარიანტის ვირუსით დაავადების მოხდის შემდეგ ცხოველი დაავადეს სხვა ტიპის ან ვარიანტის ვირუსით. თურქულით შესაძლებელია დაავადდეს ადამიანიც.

თურქულით დაავადების ნიშნებია: ნერწყვდენა, აფთებისა და ეროზიის არსებობა პირის ღრუს ლორწოვან გარსზე. გვირგვინის კანზე და ჩლიქებს შორის არეში, ცხვირის ძიღლეზე, ცურზე (სარძევე ჯირკვლებზე) სხეულის ტემპერატურის აწევა, კოჭლობა და მადის დაკარგვა. ასევე შესაძლებელია ცხოველმა დაავადება მოიხადოს ფარული კლინიკური ნიშნებით.. ახალშობილ მოზარდ ცხოველებში თურქული ზოგჯერ მიმდინარეობს ზემწვავე ფორმით, რაც მათ სიკვდილს იწვევს.

ინფექციის აღმქველ წყაროს წარმოადგენენ თურქულით ავადყოფი ცხოველები. ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 1-7 დღე. ზოგჯერ 14 დღემდე. ასეთი ცხოველები გამოყოფენ ვირუსს გარემო არეში აფთის შიგთავსით და აფთის ნაწილებით, რძით, ნერწყვით, შარდით, ფეკალური მასით, სპერმით, ამონასუნთქი ჰაერით და ა. შ.

ცხოველების დასენიანება უმეტესად წარმოებს პირის ღრუს ლორწოვანი გარსიდან საკვების მიღების დროს. ასევე დაინფიცირებული საგნების ალოკით; ვირუსები ორგანიზმში შეიძლება შეიჭრას ცურის და კიდურების დაზიანებული კანიდან.

თურქულის ვირუსის გადამტანად ითვლება დაინფიცირებული ცხოველისგან მიღებული გაუუნებელი პროდუქტები და ნედლეული, ავადყოფი ცხოველების გამონაყოფი დაბინძურებული საკვები, წყალი, ქვეშაფენი, მოვლის საგნები, მოძველებული ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, სატრანსპორტო საშუალებები, რომელზედაც თურქულის ვირუსს შეუძლია დიდხანს გაძლოს.

თურქულის ვირუსის გადატანა ცხო-

ველებისა და ტრანსპორტის გარდა შეიძლება ქარის მეშვეობითაც მოხდეს, რამდენიმე კილომეტრზე ვირუსის შენახვის კეთილსაზურველ პირობებში მიიწვევა დაბალი ტემპერატურა, მაღალი სინოტივე და ნეიტრალური არე.

თურქულზე დიაგნოზი იხმება ეპიზოოლოგიური, კლინიკური პათოლოგო-ანატომიური მონაცემებით და აუცილებელია ლაბორატორიული გამოკვლევის დადებითი შედეგით.

ცხოველების თურქულით დაავადებაზე ეჭვის მიტანისას, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შესაბამის ვეტსამსახურს და მიღებული იქნას ზომები ვირუსის ეპიზოტის კერიდან გადატანის და დაავადების გავრცელების შესაძლებლობის აღსაკვეთად. შესაბამისად, ვეტერინარი სპეციალისტი ვალდებულია ეჭვის მიტანაზე შეტყობინების მიღებისთანავე დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შემდგომ ვეტერინარულ ორგანოებს, ასევე უნდა ჩაატაროს არაკეთილსაიმედო სადგომში მყოფი ცხოველების კლინიკური შემოწმება ტემპერატურის გახინჯვით, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეოს ცხოველის პირის ღრუს ლორწოვანი გარსის, ცხვირის სარკის დინგის კანის საფარის, კიდურების ჩლიქთა შორის არის, გვირგვინის, ცურის, (სარძევე ჯირკვლების) დაზიანებას.

თურქულზე საშიშ ზონებში უნდა გატარდეს შემდგომი ღონისძიებები: მეცხოველეობის ფერმები გადაყავთ ცხოველების შენახვის და ექსპლუატაციის მკაცრ ვეტერინარულ-სანიტარულ რეჟიმზე; საშიში ზონის მეურნეობებში ცხოველები გადაყავთ ბაგურ შენახვაზე, მომთაბარე მეცხოველეობის რაიონებში არაკეთილსაიმედო ტერიტორიების საზღვრებზე აწესებენ 10-15 კმ-ს სივანის თურქულის ამთვისებული ცხოველებისაგან ცარიელ ტერიტორიას. საშიში ზონის მეურნეობებზე და დასახლებულ პუნქტებზე ამგებენ ვეტერინარ მუშაკებს სათანადო ვეტღონისძიებებისა და მეურნეობებისა და მოსახლეობის მიერ ვეტ-სანიტარული წესების შესრულებაზე კონტროლის დასამყარებლად. აღნიშნულზე აყავთ თურქულის ამთვისებული ყველა ცხოველი და ცრიან მათ თურქულის საწინააღმდეგო ვირუსის შესაბამისი ტიპის ვაქცინით. საშიშ ზონაში ყველა ახლად შემოყვანილ ცხო-

ველს ასევე ცრიან თურქულის საწინააღმდეგოდ და ათავსებენ საერთო ნახირში, ოღონდ ეს უნდა მოხდეს თურქულზე აცრის დღიდან არა უადრეს 21 დღისა. თურქულზე საშიში ზონიდან, მეურნეობიდან იკრძალება ცხოველების გაყვანა, გარდა უახლოეს ხორცკომბინატში გადაყვანისა. ტარდება შესაბამისი ღონისძიებები მეცხოველეობის პროდუქტების გაუნებლობის მიზნით. განსაკუთრებულ შემთხვევებში საშიშ ზონებში ცხადდება კარანტინი. ყველა ეს ღონისძიება ხორციელდება შესაბამისი ვეტსამსახურის სპეციალისტების მითითებებისა და მკაცრი კონტროლის მეშვეობით. თურქულის გავრცელების აღკვეთის მიზნით ადგილობრივი მმართველობის ორგანოები და რაიონების (ქალაქების) სახელმწიფო ვეტინსპექტორები აწესებენ მკაცრ ვეტერინარულ-სანიტარულ კონტროლს ცხოველების გადასარეკ ტრასებზე, მეცხოველეობის ბაზებზე, ხორცკომბინატებზე, სასაკლაოებზე და სხვა, ცხოველური წარმოშობის ნედლეულის, პროდუქტების, დამამზადებელ, გადამამუშავებელ და მარვალისებულ ობიექტებზე.

რაიონში თურქულის არსებობის დროს ცხოველების გადარეკვა, გადაყვანა, პროდუქტებისა და ცხოველური ნედლეულის გადატანა ერთი რაიონიდან მეორეში ხორციელდება მხოლოდ ზემდგომი მთავარი სახელმწიფო ვეტინსპექტორის ნებართვით.

თურქულზე კარანტინი მოიხსნება კერაში ავადყოფი ცხოველების გამოჯანმრთელების, დაკვლის, ან მოსპობის უკანასკნელი დღიდან 21 დღის შემდეგ. კარანტინის მოხსნის წინ მეურნეობის ხელმძღვანელი და ცხოველის ყველა მკატარონე ვალდებულია ჩაატაროს დაავადებული პირუტყვის ყველა სადგომების საფუძვლიანი დასუფთავება და დეზინფექცია ვეტსპეციალისტის მითითების მიხედვით.

საქართველოს სავეტერინარო კანონმდებლობის (ტ.1) მიხედვით მოამზადა გივი დაბახიშვილი

მანაველი კაცი, რომელიც შორეულ უხტაში ქართულ კულტურას უდგას სათავეში



უხტა ბევრმა ალბათ არც კი იცის, რომ ქვეყნად ასეთი ქალაქიც არსებობს, შორეული კომის რესპუბლიკაში, ანუ, როგორც აქაურები ამბობენ „ქვეყნის დასაღიერში“, რომლის იქითაც აღარაფერი არ არის, გარდა პორიზონტისა...

ამ ინტერნაციონალური ქალაქის დაარსება მეფის რუსეთის დროის კატორღლებსა და 1937 წლის საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა მიეწერება. მათ შორის ბევრი ქართველის სისხლი და ძვლები ჩაიყარა ნავთობითა და სხვა ბუნებრივი სიმდიდრეებით განთქმულ ჭაობთან მიწაში. ქალაქის „მშენებელი“ შორის იყო მანაველი სარქის არუნაშვილი, რომელმაც სასწაულებრივად გაუძლო იმ არაადამიანურ ტანჯვა-წვალებას და შემდეგ მშობლიურ მიწაში პოეზია „დასასრულის ბედნიერება“. რას წარმოადგენდა ბიძანები, რომ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მის მიერ აშენებულ ქალაქში მანაველები მივიდოდნენ, იქ დასახლებოდნენ და გაიდგამდნენ ფესვებს.

ერთ-ერთი მათგანია ბატონი ნიკოლოზ სამუნაშვილი, „კოლია“, როგორც მას მოყვრებით მანაველები ეძახიან. ასე იცნობს მას სოფლის დიდი და პატარა და როცა ეს სახელი იხსენიება, ყველა ხვდება, რომ აქ საუბარი სწორედ მასზეა. ეს სიყვარული მან თავისი ადამიანობით, კაცურკაცრობით დაიმსახურა. თუმცა, მანაველი მას არც თუ ისე დიდი ხანი აქვს გატარებული – საშუალო სკოლის დამთავრების, სავაღდებულო-სამხედრო სამსახურის მოხდისა და და უმაღლეს სასწავლებელში გამოცდების ჩაბარების შემდეგ კი თავისი მომავალი საქმიანობა შორეული ჩრდილოეთის ამ ქვეყანას დაუკავშირა. თავად იგი, კომის მიწა-წყალზე მოხვედრას, თანასოფელე, ცხონებულ როინ მათიაშვილს მიაწერს, რომელთანაც ერთად მაშინდელ ნავთობმრეწველობის საკავშირო ინდუსტრიულ ინსტიტუტში დაიწყო სწავლა. სადამოს დასწრეული განყოფილების სტუდენტი იძულებული იყო – დღისით ემუშავა, რომ საარსებო ლუკმა-პური ჰქონოდა, თორემ ღარიბი კლდეურისა და დაწყებითი კლასების მასწავლებელი დედ-მამის პატრონი, მათი გამოგზავნილი 100 მანეთის იმედზე იქ თავს როგორ გაეიტანდო, – იგონებს ხოლმე ახლა უკვე უხტაშიც სახელგანთქმული და პატივცემული მანაველი კაცი, რომელმაც, როგორც იტყვიან, საქმე ნოლიდან დაიწყო და რიგითი ტექნიკოსიდან მაშინდელი „გაზპრომის“ ნომენკლატურ თანამდებობამდე ამაღლდა. იყო ამ უმსხვილესი გაერთიანების პროფკომიტეტის თავმჯდომარეც. ამჟამად კი ბიზნესითა დაკავებული. ჩვენი გაზეთის ფურცლებზე მისი სტუმრობა წერილის სათაურად გამოტანილმა მისმა საქმიანობამ განაპირობა.

„სადაურსა სად ნაიყვან“...

ჩვენს უხტელ თანამემამულესთან შეხვედრის ორგანიზებაში კი დიდი წვლილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურის უფროსს ბატონ ძაგული მათიაშვილს მიუძღვის, ბ-ნი ძაგული ყველანაირად დაგვეხმარა, რომ ხალხისათვის გაგვეცნო კომპიის მიწა-წყალზე ქართული კულტურის მოამაგე ამ კაცის სახელი, რომელიც ამ დღეებში მანაველი გახლდათ ჩამოსული.

– უხტა არც თუ ისე დიდი ქალაქია; აქ ბევრი ეროვნების ხალხი ცხოვრობს – თვითონ კომები, პოლონელები, გერმანელები, რუსები, უკრაინელები, სომხები, აზერბაიჯანელები, ქართველები... აქ თითქმის ყველა ერთმანეთს იცნობს, და პატივს სცემს, განსხვავება არა აქვს ვინ არის და რა ეროვნების, მთავარია, კაცური კაცი იყო და არავის არაფერი დაუშაო, – გვიყვება ბატონი კოლია. – თუ არ ჩავთვლით ჭანგბადის ნაკლებობას, მხარე მდიდარია ბუნებრივი სიმდიდრეებით: ნავთობი, ურანი, გაზი აქაურთა შემოსავლის წყაროა. აქვე მდებარეობს ნავთობმრეწველობის მოწყობილობათა ინდუსტრიული უნივერსიტეტი (ყოფილი-ინსტიტუტი), რომლის პირველი რექტორი, ქართველი კაცი ნიკოლოზ ცხადაია გახლავთ, სხვათა შორის ამ კაცის დას, – ჯილდა ცხადაიას საგარეჯოელები კარგად იცნობენ, საგარეჯოს მე-2 და მე-4 საჯარო სკოლებში მასწავლებლობდნენ, სადაც იგი ათობით წელი ასწავლიდა.

ნიკოლოზ დენისოვიჩი – როგორც პატივისცემით მას კომელები ეძახიან, არაერთხელ მყოლია მანაველი, საიდანაც რამოდენიმეჯერ ქალბატონ ჯილდას ოჯახსაც ვესტუმრეთ.

– ამბობენ, რომ უხტაში ბევრი ქართველები არიანო?

– დაახლოებით 600 კაცზე ცოტა მეტი, თუ ამას დავემატებთ მამით ქართველ აქაურებს, რომლებმაც ქართული არ იციან, ეს რიცხვი საგრძობლად გაიზრდება.

– თქვენ ქალაქ უხტის ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარე ხართ. კერძოდ, რა საქმიანობას ეწევა თქვენი საზოგადოება შორეულ ჩრდილოეთში, ქართული სულის გადვივებასა და პოპულარიზაციისათვის?

– „რუსთაველი“ – ასე ჰქვია ქალაქ უხტის ქართველთა გაერთიანებას. სათვისტომოში 103 კაცი გაერთიანებული, საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან, – კახელები, იმერლები, აჭარელები, მეგრელები, გურულები, რომელთა მეშვეობით კავშირი გვაქვს აქ მცხოვრებ ქართველებთან და ერთობლივად ვზრუნავთ აქ ქართული სულისა და მეობის შენარჩუნებისათვის, ჩვენი წესწვეულებების, ტრადიციების შემონახვისა და პოპულარიზაციისათვის ვაწყოთ სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს – ქართული ყოფის ამსახველი მასალების გამოფენებს – ქართული დოკუმები, ყანწები, ფილალები, ქუდები, ნაქრები წინდები, ხალხური საკრავები, ხმალ-ხანჯალი ყველა მნახველის დიდ მოწონებას იმსახურებს. აქაურებს განსაკუთრებულად მოსწონთ ჩვენი ქართული სუფრა და სამზარეულო, ჩვენი თამადაობის „ინსტიტუტი“, მწვადი, ხინკალი, ხაჭაპური, ღვინო, ჩურჩხელა...

– გადმოცემით ვიცი, რომ კომში არსებობს კომის რესპუბლიკის ქართული სათვისტომოც...

– ქართული სათვისტომოები, ანუ გაერთიანებები კომის ყველა ქალაქშია. მათ ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას უწევს დედაქალაქის სათვისტომო, რომელსაც „საქართველო“ ჰქვია. მას მართლაც ჩინებული კაცი, – ტარიელ რობანიშვილი უდგას სათავეში. სათვისტომოს წევრებად არჩეული ვართ ქალაქების გაერთიანებების თავმჯდომარეები. ეს გვეხმარება იმაში, რომ კავშირი ვიქონიოთ რესპუბლიკაში მცხოვრებ ყველა ქართველთან, ერთად ვიზრუნოთ ჩვენი ენის, სარწმუნოების, კულტურის, ადათ-წესების შენახვისათვის, ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს ჩავუჩენოთ მშობ-

ლიური ენისა და ქვეყნის სიყვარული. ხანდახან ვახერხებთ საქართველოში გაცვლითი სახის პროგრამების მოწყობასაც. ამ რამდენიმე ხნის უკან ასეთი პროგრამა გვექონდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ნიკოლოზ ცხადაია შევახვედრეთ უნივერსიტეტის მაშინდელ რექტორს რ. მეტრეველს და მათ ისაუბრეს ორი უმაღლესი სასწავლებლის ურთიერთობის შემდგომ გაღრმავებაზე...

ამასწინათ, კერძოდ 19 აგვისტოს, აღინიშნა კომის რესპუბლიკის 90 წლისთავი, რომლის ზეიმზეც აქ მცხოვრებმა ქართველებმა წარმოვადგინეთ ეროვნული კულტურა. არ მინდა თავის ქებაში ჩამომერთვას, მაგრამ აქ ყველას ჩვენმა გამოფენამ აჯობა და ჟიურიმ პირველი ადგილი ერთხმად მოგვანიჭა. კომელებს კი არა, მსოფლიოს ვაკვირებთ ქართველები ჩვენი მეობითა და კულტურით...

ამას გარდა, ყოველ ზაფხულში ჩამოვდივარ მანაველი და კომელი სტუმრებიც ხშირად მომყავს, მათ შორის მაღალი რანგის ხალხიც მყოლია, როგორც ვენახის დაკრეფაზე, საწნახელშიც ჩამიყვებია ისინი ყურძნის დაწურვისას, სუფრაზე და ყველაფერი ეს მათში განცდივართვასა და აღტაცებას იწვევს. ასეთი რეაქცია აქვთ მათ ჩვენი ისტორიული ძეგლების, ეკლესია-მონასტრების, თბილისისა თუ სხვა კუთხეების დათვალიერებისას. კომში ყველა იცნობს და მოსწონთ მომღერალი დები ჯანგალიძეების და გოდერძი ამალდომელების სიმღერები. რა თქმა უნდა, თითოთროლა უვარგისები აქაც გვირევიან, მაგრამ ყველა მათგანს აუფლეთ ბილდები და უკან გამოვვხანეთ. ასეთებს ვერც კომელები და ვერც ჩვენ ვივუებთ.

– ბატონო კოლია, ზემოთ ჩამოთვლილ სხვა ყველაფერთან ერთად, ხომ არ გიცდით კომში მცხოვრებ ქართველებს თქვენი შვილებისათვის ქართული ენის შესწავლის მიზნით აქ რაიმე ქართული სასწავლებლის დაარსება, ან მოქმედი კლესიის გახსნა, როგორც ეს სახლვარგაუეთის ზოგიერთ ქვეყანაში არსებულმა ქართულმა სათვისტომოებმა მოახერხეს?

– იქ ასეთი სასწავლებლის დაარსება მრავალ სირთულეებთანაა დაკავშირებული. რაც შეეხება ეკლესიას, მის აშენებაზე თითქოს შევეთანხმდით, მაგრამ, როგორც ეს ქართველებს გვჩვენებია, მერე აზრები გაიყო დასავლეთ საქართველოს წარმომადგენლებმა ერთი მთინდომეს, აღმოსავლეთისა მეორე, და ეს საქმეც განგრედა. ერთი, რაც შემოძლია გითხრათ ის არის, რომ 2009 წელს ნიკოლოზ ცხადაიამ ჩამოიყვანა ქართული ცეკვის მასწავლებელი, რომელმაც უმოკლეს დროში შეასწავლა ჩვენს ბავშვებს ცეკვა მთიულური.

– გადმოცემით ვიცი, რომ თქვენთან ერთად კიდევ რამდენიმე მანაველიც ცხოვრობდა უხტაში...

– კი, აქ ჩემთან იყვნენ კახა არუნაშვილი, გია საბაშვილი, ვაჟა მათიაშვილი, აქედან კახა პეტრბურგში დასახლდა, გია და ვაჟა კი მოსკოვში დამკვიდრდნენ და იქ ეწევიან საქმიანობას.

– ბატონო კოლია, ცნობილია, რომ თქვენი ოჯახი ბიზნესითა დაკავებული. როგორც ვიცი, გვათ ქალ-ვაჟი და ხართ ერთი შვილიშვილის პაპა. თუ შეასწავლეთ თქვენს პატარა მოსახელეს ქართული ენა? მოგიყვებით თქვენს ოჯახზეც...

– ჩემი ოჯახი არც ისე დიდია, მყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი. ორივე დაოჯახებულია. მინდოდა ჩემგან განსხვავებით, ჩემს ვაჟს არსენას ქართველი მეუღლე მოეყვანა და საქართველოში ეცხოვრა. თბილისში საპატარძლოც შევარჩიეთ, ვიყიდეთ ბინა და მათი გულისათვის მეც დავაპირე თბილისში დაბრუნება, მაგრამ შემდეგ ეს საქმე ჩაიშალა და ისევ უხტაში დავრჩით. ჩემი შვილიშვილი და

ჩემი სეხნია ნიკოლოზი 12 წლისაა, ყოველ ზაფხულს მანაველი ჩამომყავს ხოლმე. შარშანწინ მთელი ოჯახი შევიკრიბეთ და აქ, მანაველი ჩამოვედით. მამაჩემის საფლავზე გავედით, სამი წლისთავის აღსანიშნავად. იქ გუთხარი ნიკოლოზს – მამაშენს დაეუბარე, როცა მოგვედები და აღარ ვიქნები, აქ მანაველი ჩამომასვენე და მამაჩემის გვერდით დამმარხო, ვინც ცლობა მან ეს არ შეასრულოს, შენ იცოდე და შენ დამადგენე ეს უკანასკნელი მადლი – მეოტი.

ჯერ კი მისმენდა და მიყურებდა, მაგრამ მერე თავი ვერ შეიკავა და ატირდა – არა, პაპა, არა ეს არ ქნაო... ვჰ, ვის უნდა სიკვდილი, ჩვენს ნებაზე ხომ არაა, როცა იქნება ეს დროც მოვა და მინდა, რომ მანაველი კაცი ჩემს მიწაზე დავიმარხო.

– ქართული თუ შეისწავლა მანაველი სტუმრობის დროს?

– ქართული ენა ესმის, რასაც ეუბნებიან, ხვდება მაგრამ თვითონ ვერ ლაპარაკობს, იქ, ქართველებთან დიდი კონტაქტი ვერ აქვს.

– ბატონო კოლია, როგორც შევიტყუეთ ამ დღეებში ისევ უხტაში აპირებთ დაბრუნებას, რას ეტყოდით ჩვენი გაზეთის მეშვეობით ქართველ ხალხს, მანაველებს, საგარეჯოელებს?

– ისე მოხდა, რომ გასულ წელს მანაველი ჩამოსვლა ვერ მოვახერხე, წელს კი ისევ ჩამოვედი და მთლად განსხვავებული მეჩვენა აქაურობა, საგარეჯო გალამაზებული, ქუჩები მოსაფალტებული, ნელ-ნელა იხსნება პრობლემები სასამელო წელისა. გალამაზებულია, თითქმის აღარ ჩამოვარდებია სხვა ქვეყნების დედაქალაქებს ინფრასტრუქტურის განვითარებით. ჩემი თბილისი. ბევრი რამე აშენებულა, გაკეთებულა. მოსაწონია, რომ ასეთი წესრიგია პოლიციაში. ყველაფერი ეს ხალხისათვის კეთდება. მე პოლიტიკა არასდროს მიტაცებდა და არც ახლა ვესწრაფი. ჩემი ერთადერთი სურვილია ქართველი და ყველა ხალხი იყოს ბედნიერი, არ იყოს გაჭირვება, უმუშევრობა, ჩემი ხალხი კვლავაც მხნე და გალადებული მენახოს. მე ახლა უხტაში ვბრუნდები. 17-19 ნოემბერს იქ ტარდება „ერთობის“ დღესასწაული – აქ მცხოვრები ყველა ერის ხალხი აწყობს თავიანთ ნაციონალურ გამოფენას, იმართება საერთო დღესასწაულები, მოეწევა მასობრივი სეირნობები. მე აქედან ბევრი ქართული სუვენირი თუ ნივთი მქონდა ჩატანილი, ზოგსაც ახლა შევმატებ და ვეცდები, ღირსეულად წარმოვჩინო ჩვენი კულტურა ამ დათვალიერებაზე. შემდეგშიც, ვიდრე შემეძლება, შევეცდები არ მოვწყვედ ქართულ ფესვებს, აქ მცხოვრებ ქართველებს დავეხმარო თავიანთი ენის, მეობის და საქართველოს სიყვარულის შენარჩუნებაში.

– ღმერთი შეგეციოთ და ხელი მოგიმართოთ ამ მართლაცდა საერისკაცო საქმეში.

გივი დაბახიშვილი

- ### ანონსი
1. სასამელო წელი, როგორია მისი ხარისხი?
 2. ფუტკარი და მისი მოვლა
 3. ეკლესიები – ჩვენი მოსახლელი და საპატრონებელი.
 4. რა დაავადების გადატანა შეუძლიათ მგლებს მოსახლეობის საზიანოდ


სარწმუნოება

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნივერსალის და უნივერსალის ილია II

მ ა ნ რ ი ნ ე მ ბ ა

მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად

პიროვნება



სვეტიცხოვლობის დღესასწაულზე მთავარეპისკოპოსის ხარისხში იქნა აყვანილი ნინოწმინდა-საგარეჯოს ეპისკოპოსი **მეფე ლუკა (ლომია)**.

ევლოცავთ მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას ამ მაღალ ხარისხს, რომელიც მან თავისი დაუღალავი ღვაწლითა და ეპარქიაზე ყოველდღიური ზრუნვით და ფიქრით დაიმსახურა.

ღმერთმა დაგლოცოთ და გააძლიეროთ!

პატრიარქის მრევლის სახელით:
საგარეჯოს დევისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრის მოძღვარი

დემანოზი მირიანი (არღაზიშვილი),

გიორგიწმინდის დევისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის მოძღვარი,

მღვდელი ბიორბი (კავლოვი)

განმავლობაში ათვალეურებენ სასუფეველის სანახებს.

გარდაცვალებიდან მეცხრე დღეს მას კვლავ წარადგენენ უფალთან, რის შემდეგაც ახლა ჯოჯოხეთის მოატარებენ.

მეორმოცე დღეს შედგება ახალგარდაცვალებულის პირადი სამსჯავრო. ანგელოზები წარმოადგენენ მის კეთილ საქმეებს, რაც სიცოცხლეში ჩაუდენია, აგრეთვე იმ სიკეთესაც, რომელიც მის სახელზე სხვამ აღასრულა, განსაკუთრებით გარდაცვალების შემდეგ ორმოცი დღის განმავლობაში; დაცემული სულეები კი წარმოაჩენენ მის ცოდვილ ცხოვრებას. უფალი ჩვენი იესო ქრისტე გაასამართლებს სულს და დედამიწაზე თავის მეორედ მოსვლამდე მიუჩენს დროებით სამყოფელს.

ქრისტეს მეორედ მოსვლის შემდეგ შედგება საერთო სამსჯავრო, სადაც თითოეული ადამიანის სული უფალი ხელახლა გაასამართლებს ყველას თანდასწრებით და უკვე სამუდამო ადგილსამყოფელს მიუჩენს. იმის მიხედვით, თუ როგორ ზრუნავდნენ მისთვის ახლობლები, როგორ ღოცულობდა ეკლესია, შეიძლება სული ჯოჯოხეთიდან სამოთხეშიც იქნას აყვანილი. განსაკუთრებით ძლიერია დედის ღოცვა.

ასე, რომ ახლობელ ადამიანს ჩვენ მხოლოდ დროებით ვშორდებით, რათა შემდეგ სამუდამოდ შევევართ. ცხადია, ადამიანისათვის ნებისმიერი განშორება მძიმეა, მით უმეტეს ასეთი გაურკვეველი ვადით, მაგრამ სასოწარკვეთასა და წრეგადასულ მწუხარებას მინც არ უნდა მივეცეთ. გვახსოვდეს, არც ღმერთი მოგვიწონებს ამას და მიცვალებულსაც საშინელ ტკივილს მივაყენებთ.

ადამიანისათვის თავის მახლობელთა მწუხარება განსაკუთრებით მძიმეა მისი გარდაცვალების ჟამს, როდესაც გარეგნულად სიცოცხლე აღარ ეტყობა, სული კი სხეულს საბოლოოდ არ გაყრია; აგრეთვე პირველ დღეებში, როდესაც სული ცხედართან ახლოს იმყოფება.

ჩვენ დარდს ორი გარემოება ამსუბუქებს

გაგრძელება მერვე გვერდზე



ყოველი ოჯახი მძიმედ განიცდის უახლოესი წევრის გარდაცვალებას და გლოვით გამოხატავს თავის წუხილს, მაგრამ ბოლო დროს ეს დამახინჯებული ფორმით ვლინდება.

ხშირია შემთხვევა, როცა ახლობლები მრავალ წლის ან მთელი სიცოცხლის მანძილზე არ ხდებიან შავ სამოსს და ჩამოშორებულნი არიან ყოველდღიურ ცხოვრებას.

უსაზღვრო გლოვა, გოდება, ტირილი მეტყველებს ადამიანის ურწმუნოებაზე, იმაზე, რომ მას არ სწამს ღმერთს, არ სწამს სულის უკვდავება და თვლის, რომ გარდაცვლილი სამუდამოდ დაკარგულია მისთვის, ამით კი ჰირისუფალი უდიდეს ცოდვას იღებს თავის თავზე, რადგან იგი არასწორი ქცევით მეტისმეტად ამძიმებს გარდაცვლილის უკვდავ სულს, ამძიმებს თავისი ოჯახის ცხოვრებას.

ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ ადამიანის გარდაცვალება არ ნიშნავს მის მოსაზრებას. ადამიანის სული ცოცხალია, უკვდავია და იგი მარადიულ ცხოვრებაში იმკვიდრებს იმ ადგილს, რასაც თავისი სარწმუნოებითა და ქცევით იმსახურებს.

მიწიერი ცხოვრება არის მომზადება მარადიულობისათვის, იგია თითოეული ჩვენთაგანისათვის უდიდესი გამოცდა.

ბედნიერია, ვინც მართლმადიდებელი სარწმუნოებით, სიყვარულითა და კეთილი საქმით წარდგება ამ გარდაუვალი დღის წინაშე და მართალთა სავანის მკვიდრი გახდება.

ხშირია შემთხვევა, როცა კეთილი ადამიანი ტოვებს ამ წუთისოფელს, ანდა მცირე ასაკისა შეერთვის მარადიულობას. ამაშიაც ჩვენ უნდა დავინახოთ განგება უფლისა; ღმერთს ისინი მიჰყავს თავისთან ნაკლებად ცოდვილნი.

იოანე აპოსტოლი პანაინიკა:

1. ავადმყოფს აუცილებლად უნდა მოეუწყვანოთ მოძღვარი აღსარებისა და ზიარებისათვის, რადგან წმიდა ზიარება არის საკურნებელი სულისა და ხორცისა და ხშირია შემთხვევა, როცა წმი-

და ზიარებით სასწაულებრივად განკურნებულა ადამიანი; ასევე, მეტად კარგია ავადმყოფისათვის ზეთის კურთხევა.

2. გარდაცვალების შემთხვევაში პირველივე დღიდან დასაფლავებამდე მიცვალებულის თავთან ჩაუქრობლად უნდა ენთოს სანთელი და კანდელი, უნდა იდგეს ხატი. ხორბალი, წყალი, ღვინო, მარილი და დღედაღამ უნდა იკითხებოდეს დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნები.

3. ფსალმუნის კითხვა(თუნდაც დღეში მხოლოდ ერთი კანონის), სასურველია, დასაფლავების შემდეგაც ერთი წლის მანძილზე მაინც გაგრძელდეს.

4. გარდაცვლილს გულზე უნდა ეკიდოს ნაკურთხი ჯვარი.

5. თუ მიცვალებულის ახლობლები მოუნათლავია, კარგია თუ ისინი გარდაცვლილის დასაფლავებამდე მოინათლებიან; თუ მიცვალებულია მოუნათლავი, მისი მონათვლა არ შეიძლება.

6. საერთო პანაშეიდის დროს სასურველია საერო სიმღერებისა და მუსიკის ნაცვლად შესრულდეს საეკლესიო საგალობლები.

7. მიცვალებული უნდა დაიკრძალოს გარდაცვალებიდან 3-5 დღის განმავლობაში.

8. მიცვალებულს არ უნდა ჩაატანონ ზემოთი ტანსაცმელი და სხვა რაიმე ნივთი.

9. დასაფლავების დღეს, დილით, ან წინა დამეს მოძღვარმა უნდა აუგოს წესი მიცვალებულს და უკურთხოს საფლავის მიწა, ღვინო, პური, მარილი, წყალი.

10. დასაფლავების დღიდანვე საფლავზე უნდა დაიდგას მღვდლის მიერ ნაკურთხი დროებითი ჯვარი(ხის, ლითონის ან სხვა მასლის), რადგან უჯვრო საფლავს, წმიდა მამების სწავლებით ეშმაკი ეპატრონება.

11. გარდაცვლილის დაკრძალვის შემდეგ მისი სულის მოსახსენებლად მზადდება მოკდალებული ქვლები მხოლოდ უახლოესი ნათესავებისა და ახლობლებისათვის, ქვლები არ უნდა გაგრძელდეს დიდხანს. უკეთუ ადამიანი გარდაიცვალა მარხვის დროს, საჭმელი მზადდება მხოლოდ სამარხო.

12. თუ ადამიანი გარდაიცვალა ხსინღში, კარგია, თუ მისი ახლობლები გარდაცვლილის დასაფლავებამდე შეინახავენ მარხვას.

13. გარდაცვალებიდან 39-ე დღეს მოძღვარმა უნდა შეასრულოს პანაშეიდი, ხოლო მეორმოცე დღეს და წლისთავზე მიცვალებულისათვის უნდა დამზადდეს საკურთხი და ეკლესიაში შესრულდეს შეკვეთილი წირვა და პანაშეიდი.

14. მიცვალებულის ორმოცი უნდა გადაიხადონ გარდაცვალებიდან ზუსტად მეორმოცე დღეს, ან წინა დღეს, რადგან მეორმოცე დღეს ხდება გარდაცვლილის სულის დამკვიდრება მისთვის განკუთვნილ სავანეში. წლისთავიც უნდა გადა-

საუკეთესო დედა, სიძისათვის სიდვარი, შვილიშვილებისათვის ამაგდარი ბებო – თინა სირაძე-მედულაშვილი. დრო არ გავა, რომ არ გაგვახსენდეს მისი ოჯახის წევრებს, ძალიან დაგვაკლდა მისი სიტბო, რომელსაც ყველას გვინაწილებდა – ჩვენი ერთგული და შრომისმოყვარე. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული, მსუბუქი იყოს მის გულზე დაყრილი ქართული მიწა.

მეუღლე ოთარი, შვილები ამირანი, თამარიკო, რძალი მარინე, შვილიშვილი ოთარ მედულაშვილები, სიძე ნუგზარი, შვილიშვილები თენგიზ, თინათინ გზირიშვილები

„მართალთა შინა წიაღში“

სტოვანა
თინა სირაძე-მედულაშვილი



თ ხუთმეტრი წელი გავიდა, რაც ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა სამუდამო სასუფეველში გაავადიკეთ ერთი უბრალო, მოამაგე, ჯაფაში დაღლილი ქართველი ქალი. მეუღლისათვის – პირველი დედა, შვილებისათვის

ფეხბურთი სასკოლო საგნებში „შეაღწიე“



ფეხბურთი რომ ყველა დროისა და თაობის სპორტის საყვარელი და პოპულარული სახეობაა, ამის მტკიცება ალბათ უაზრობა იქნებოდა. მინდვრის თამაშის ეს სახეობა საგარეჯოშიც საკმაოდ ხანს, ექვს-შვიდ ათეულ წელს ითვლებოდა, სასოფლო თუ სასკოლო მოედნებზე, ეზოებში, მინდორზე, სტადიონებზე. მაგრამ თუ იგი სასკოლო საგნებშიც შექმნილია ადგილის დამკვიდრებას, ამას აქამდე ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა...

თუმცა, ამჟამინდელ წარმოუდგენელი არაფერია და ახალი ეროვნული სასწავლო პროგრამით ასეთი რამ რეალობად იქცა. კერძოდ, ბაღდაურის საჯარო სკოლის არჩევითი სახის გაკვეთილზე გასულ

2010 წლიდან ისწავლება ფეხბურთი, ფრენბურთი და მძლეოსნობა. სპორტის ამ სახეობებში ბაღდაურელი მოსწავლე-ახალგაზრდების წერტილ-დაკვადიანების საქმეს მალხაზ ნიუარაძე ხელმძღვანელობს და მიუხედავად დროის მცირე მონაკვეთისა, უკვე აქვთ გარკვეული წარმატებები...

– ბაღდაურის საჯარო სკოლაში სამუშაოდ, ზუსტად ერთი წლის წინ, საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა ბნმა გია დუნიძემ მიმავლინა, – გვიყვება რედაქციაში სტუმრად მოსული მალხაზი, – სკოლის ხელმძღვანელობა, სამეურვეო საბჭო სისარულით შეხვდა ამ სიახლეს, მხარში ამომიდგინა, დამეხმარნენ საქმის დაწყებ

ბაში. შევიდინეთ ახალი ბურთები, შევღებოთ კალათბურთისა და ფრენბურთის ძეგლები, ჩამოვაბოთ ახალი ბაღდაურელი. სულ მალე კი სასკოლო სპარტაკიადაც ჩავატარებთ ფრენბურთსა და ფეხბურთში, როგორც უფროს, ისე უმცროსკლასელთა შორის. სპარტაკიადაზე გამოვავლინებთ პერსპექტიული მოთამაშეები და წარმატებული ბავშვები ჩავაბრუნებთ საგარეჯოს ბავშვთა საფეხბურთო კლუბ „გარეჯში“. მის შემადგენლობაში მოთამაშე ბაღდაურელმა ბავშვებმა ორ – საშემოდგომოდ და საგაზაფხულო წრედ ითამაშეს კახეთის პირველობაზე, სადაც უფროსი ასაკის საგარეჯოს გუნდმა მესამე, პატარებისამ (2000-2001 წწ) კი მეორე ადგილი დაიკავა.

2011 წლის 2 სექტემბრიდან სკოლაში კვლავ განახლდა ვარჯიშები. პარალელურად ბაღდაურელმა მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს „გარეჯის“ მიერ გურჯაანის „შეგარდენისა“ და სიღნაღის „იმედის“ თანატოლ ფეხბურთელებთან პაექრობაში. მიმდინარე წლის ნოემბრიდან იწყება კახეთის პირველობა „ფესტივალი - 2011“, რომელშიც კახეთის ყველა რაიონის გუნდები მიიღებენ მონაწილეობას და მორიგეობით, ყოველ კვირადღეს ითამაშებენ კახეთის ყველა რაიონულ ცენტრში. ფესტივალის გამარჯვებულნი ქველათა როდენობით გამოვლინდებიან. გვინდა, რომ მათ შორის ჩვენი გუნდებიც იყვნენ, რისთვისაც ინტენსიურად ვემზადებით.

ჩვენი გუნდი კვირაში სამ ვარჯიშს ატარებს, რაშიც ბაღდაურელი ბავშვები აქტიურად იღებენ მონაწილეობას, ამას გარდა, მათთან გაკვეთილებზე ბურთზე ვამახვილებ ყურადღებას, რადგან სკოლის არჩევითი სახეებიდან სწორედ ფეხ-

სპორტი

ბურთი, ფრენბურთი და მძლეოსნობა აქვთ არჩეული. რაც მოაგარია, ბავშვები მომეგებიან, დიდი სურვილი მაქვს, რომ ჩემმა აღსაზრდელებმა თავიანთი სიტყვა თქვან საგარეჯოსა და საერთოდ ქართული ფეხბურთის ისტორიაში. ამ მიზნის მიღწევაში გვერდში საფეხბურთო კლუბ „გარეჯის“ დირექტორი თემური ხუციშვილი და როგორც ზემოთ აღვნიშნე, სკოლის დირექცია გვიდგანან. მათი ეს ამაგი ჩვენმა ბავშვებმა კახეთის ფეხბურთის პრეზიდენტის გონა როსტომაშვილის სიგელებით და სკოლისათვის საპატიო სიგელის გადაცემით აღნიშნეს. კერძოდ, ეს ჯილდოები ჩვენს ბავშვებს იმისათვის გადაეცათ, რომ რეგიონის არც ერთ მუნიციპალიტეტში ამდენი ბავშვი არსად არ არის ჩამოყალიბებული სპორტის ამ სახეობაში.

საზაფხულოდ ვაპირებთ ქობულეთში საკურორტო სეზონის განახლებისადმი მიძღვნილ ტურნირში მონაწილეობის მიღებას და უკვე დაწყებული გვაქვს მზადება, რომ კახელებმა ჩვენი სიტყვა ვთქვათ ამ პირველობაზე, – თქვა თავისი სათქმელი მალხაზ ნიუარაძე.

დამთავრებით, საკმაოდ თამამი განცხადებაა დამწყები ფეხბურთელების გუნდის მწვრთნელის მხრიდან. ენახოთ, გაუმართლებენ თუ არა მალხაზ ნიუარაძეს იმედს ეს ბიჭები, გურჯაანის სტადიონზე გადაღებული ფოტოდან ასე თამამად რომ შემოგვცქერიან თავიანთი მწვრთნელთან ერთად.

წარმატებები ვუსურვოთ მათ ამ ჩანაფიქრის განხორციელებაში.

გივი დაბახიშვილი

ერთად ვიფიქროთ, ვითანამშრომლოთ!

ბთაყაზოთი წინააღმდეგ

მეცნიერების ვარაუდით, დედამიწაზე უახლოეს ხანში მოსალოდნელია კლიმატის შეცვლა – გლობალური დათბობა, რაც გამოიწვევს კატაკლიზმებს – ზოგან გაუაღებლობას, ე.ი. სასურსათო საფრთხეს. ამ მხრივ არც ჩვენი რაიონი იქნება გამონაკლისი. წინაპრების ნათქვამია: „ტყე შეუნახეთ შეიღებეს“-ო. ეს ბრძნული ნათქვამი კი მიგვანიშნებს, რომ ტყეს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს – პაერისათვის, ტემპერატურისათვის, სისხლში თუ სარწყავი წყლისათვის. მაგრამ, მოგვხსენებთ სახმელ წყალს არაფერ უფრთხილდება – რწყვენ ბოსტნებს, რეცხავენ მანქანებს...

იქნებ სათანადოდ შევიწავლოთ და „თვალთხევის“ სათავეშივე დავაგუბოთ, შეგვკრიბოთ, გავაკეთოთ წყალშემკრები, საიდანაც მიღების საშუალებით თვითდინებით მიეწოდება შემდეგ მოსახლეობას და მომხმარებელი ტექნიკური წყლის საფასურსაც მრიცხველებით გადაიხდის. ჩვენ კი, თითოეულ ჩვენგანს გვევალება დავრვათ ხეები, მოუფაროთ და გავეფრთხილოთ ბუნებას, რომ ყოველგვარი კატაკლიზმების დროს ადამიანები დაზღვეულები ვიყოთ საშინელი შედეგებისაგან.

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ ფურცლებზე საუბარი იყო საზოგადოებრივი ტრადიციის ჩვენი ქალაქის ტერიტორიაზე განთავსების შესახებ (№4). როგორც ამ ქალაქის მკვიდრი მოსახლე და დიდი გულშემოტიკი ვითარებულ ჩემს მოსაზრებებს: – ადგილს, სადაც საზოგადოებრივი ტრადიციის შეიქმნა განთავსდეს: ყოფილი კინოთეატრის შენობის წინ „კოდაკის“ ჯიხურის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც დაახლოებით 100 კვმ მიწის ფართზე იქნება; გაზეთის გასაყიდ ჯიხურებთან არსებული სკვერის ბოლოს, რადგან ორივე შემთხვევაში ტრადიციების წყლითა და კანალიზაციით უზრუნველყოფა შესაძლებელი და მოხერხებულიცაა.

ომარ კავთაშვილი, საგარეჯო.

ახალი გზა

გომბორისათვის გზა ყოველთვის დიდ პრობლემას წარმოადგენდა. სოფელი 60 კილომეტრითაა თბილისიდან დაშორებული, ხოლო თელავიდან 30 კილომეტრით, ეს შეიძლება არც ისე დიდი მანძილი იყოს, მაგრამ ყოველ მეორე ნაბიჯზე ჩამონგრეული ასფალტი ძალიან აკიახურებდა მგზავრობას. ამიტომაც 2010 წლის გაზაფხულზე გზის მშენებლობის დაწყებამ ძალიან გაახარა გომბორელები, მითუმეტეს, რომ მანამდე ბევრჯერ გეპრობდებოდნენ.

მაგისტრალის მშენებლობა შემოდგომაზე დასრულდა, რამაც თბილისამდე მგზავრობის დრო ორჯერ შეამცირა. ამასთანავე, ხშირი მოძრაობის გამო, განაღდა სოფლის მეურნეობის პრობლემები ადგილზე რეალიზაციის შესაძლებლობა. ამან საკმაოდ დიდი სარგებელი მოუტანა სოფელს, მაგრამ სოფელში მცოცავი მიწაა, რის გამოც ბევრ ადგილას ასფალტი ჩავარდა. თუმცა მეგზვეების მუშაობა არც წვიმაში და არც დიდთოვლობაში არ შეჩერებულა, მაგრამ ამასთან ერთად არსებობს ერთი არასასიამოვნო და მნიშვნელოვანი პრობლემა. გზისპირა ითვს ნაგვი, ყოველი მეორე მანქანის ფანჯრიდან ყრიან პლასტმასის ბოთლებსა და ცელოფანის პარკებს. მეგზვეთა შრომის და ბუნების ასეთი დაუფასებლობა დიდად საწყენია და თუ ასე გაგრძელდება გზისპირა ნაგავსაყურებს დაემსგავსება, თუმცა ეს პრობლემა ძალიან იოლად გადაიჭრება, თუკი მშენებელი ვინც ფანჯრიდან ისვრის ნაგავს, მას თავის ადგილს მიუჩენს და ეს მართლაც ღამაში გზა მართლაც რომ სასიამოვნო იქნება ჩვეულებრივი მგზავრებისთვისაც და ტურისტებისთვისაც.

მინდია არაბული გომბორი

„სჯაბს გვიან იცის, უიღრე ატასდრის“

ინტერესით წავიკითხე გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ №2-ში გამოქვეყნებული

წერილი „დაუფასებელი ავტოგრაფი“ სასიხარულოა, რომ მომავალ წელს საგარეჯოს 50 წელი უსრულდება ქალაქად გამოცხადებიდან. არც ინტერესიკლუბული არ არის ცნობები ონოფრე მაჭუტაძის შესახებ. მაგრამ წერილის ავტორს არ ვეთანხმები ონოფრე მაჭუტაძის საფლავის შეცვლას. უამრავი საგარეჯოელი და ქრისტიანი დამეთანხმება, რომ ონოფრე მაჭუტაძე უნდა განისვენებდეს იქ, სადაც დღესაა მისი საფლავი. ოღონდ, ჩვენ ვაღიარებთ ვართ ის საფლავი ჯერ მოგვებნოთ, კეთილმოვაწყოთ და ყოველთვის მოვლილი გვქონდეს, ადგენის დღიდანვე უნდა დაიდგას მის საფლავზე მდგომარეობის მიერ ნაკურთხი კარგი ხისაგან დამზადებული ჯვარი, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ქრისტიანის საფლავი არ უნდა იყოს მდიდრული. კარგი იქნება, თუ პეტრე-პავლეს ეკლესიის ეზოში დაიდგმება მემორიალური დაფა ონოფრე მაჭუტაძის სურათით და მოკლე წარწერაც იქნება მისი მოღვაწეობის შესახებ.

ამასთან, მაქვს მოკრძალებული თხოვნა ჩემი თანამოქალაქეების მიმართ ერთად მოვიტხოვოთ, უფრო სწორად – ვთხოვოთ ჩვენი ეპარქიის მეუფეს პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესიაში წირვა-ლოცვის აღდგენა, რადგან, ჯერ ერთი, 1710-1712 წლებში აშენებული ეკლესია მშენებელზე დიდი მადლის მატარებელია და ამასთან, მრევლი უამრავი ეყოლება, რომელიც დღეს იძულებულია გრძელი მანძილი გაიაროს ნინოწმინდის, ან საგარეჯოს ღვთისმშობლისა და დოდოს სახელობის ეკლესიებში წირვა-ლოცვებზე დასასწრებად.

ყველა ჩვენგანის მოვალეობაა – თვალისწინებით გავუფრთხილოთ ეკლესიას და შემდგომში მისი ამშენებლის – ონოფრე მაჭუტაძის საფლავს.

ჩვენს საპატრონოებს ჩვენვე ვუპატრონოთ

კვიტხულობდი გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ მეხუთე ნომერს და გული სიხარულით მეხსებოდა, რომ ქრისტიანი ბერძენს, რომელიც საგარეჯოში ჭირისუფლად იყო ჩამოსული, არ გამოეჩინა რაღაც ნიუანსი ჩვენი ცხოვრებიდან და ადამიანი-

სათვის სიფათის თავიდან ასაცილებლად მდინარე თვალთხევეზე გაკეთებული „საცალფეხო ხიდი“ შეაკეთა. მაგრამ გული მატკინა იმ დარემობამაც, რომ ნუთუ ამ ორი უბნის დამაკავშირებელ ხიდზე მოსიარულემ ვერავინ მოიფიქრა – სულ უბრალოდ, ნახევარი კილო ლურსმანი ყვიდა და ალაგ-ალაგ აყრილი ფიცრები დაემაგრებინა?

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ისინი ვერ დაელოდებიან ბატონ ქრისტოს დელაკოსის შემდგომ ჩამოსვლას და შეიძენენ საჭირო ფიცარსაც და ლურსმანსაც და თავადვე შეაკეთებენ ხიდს. რაშიც მეც აუცილებლად მივიღებ აქტიურ მონაწილეობას, რადგან ჩემი მეუღლის საფლავის მოსანახულებლად ამ ხიდზე ხშირად მეც მიწვევს გავლა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე მისასვლელად. საამისოდ კი საჭიროა მოწოდება და ერთსულლოვება ამ უბნის მცხოვრებელ მხრიდან. დავემტკიცოთ ბერძენ კაცს, რომ ქართველები ვართ და მოვალენიც ჩვენ ვართ ჩვენს საპატრონოებს ჩვენვე ვუპატრონოთ. ნამდვილად არ გვაკლია სრულყოფილება, რაც განსაზღვრავს პატიოსნებას, შრომისმოყვარეობას და დიდი პასუხისმგებლობის გრძობას...

გამოვთქვამ რწმენას, რომ ჩვენ ერთობლივად შევძლებთ ხიდის მოვლა-პატრონობასაც და არამარტო ხიდის, დროა ხელი შევაგლოთ საგარეჯოს ცენტრშიც არსებულ ისეთ ადგილებს, რომლებიც შეიძლება თითოეულმა ჩვენგანმა ერთი-ორი საათის გარჯით ნორმალური სახე დაუბრუნოთ ჩვენსავე ქუჩის რომელიმე მონაკვეთს. გასხვოთ, ცენტრში არსებული სკვერის ღობე როგორ იყო დაზიანებული. ხის ღობეს ადგილ-ადგილ ამოცილილი ჰქონდა ფიცრები, მაგრამ შეკეთებული რა ღამაზად გამოიყურება?! მოდით, რასაც რაიონის ბიუჯეტი ვერ გასწვდება, ჩვენ თავად ვუპატრონოთ ჩვენს ქალაქს, ჩვენს ბერძენ მეგობარს და გულშემოტიკვარს ზენ ქრისტოს დელაკოსს კი მადლობა გადავუხადოთ სიყვარულისა და პატივისცემისათვის.

თიარ მედულაშვილი ქ. საგარეჯო

იციო, როგორ აკეთებდნენ ბებიაბი თათარას?!



თათარას მოსადუღებლად ჩვენი დიდი ბებიები საგანგებოდ ემზადებოდნენ: ახლადდაწურული ყურძნის წვენი ცალკე ადუღებდნენ. მოგდებულ ქაფს აცლიდნენ, დუღილისას პატარა ზომის გოგრას ან კომშს დაუმატებდნენ (სიმწკარდის წასართმევად ტკბილისათვის), ადუღებდნენ იმდენს, ერთი მტკაველით რომ მოჰკლებოდა ქვაბს ტკბილი. არჩევდნენ ნიგოზს – სალს, თეთრს, ცხიმითაგატენილს, ასხამდნენ თეთრ ძაფზე (აუცილებლად თეთრი უნდა ყოფილიყო ნიგოზის), გაუკეთებდნენ ულამაზეს სათაურებს, იმ თეთრ ძაფთან შედარებით უფრო მაგარს და ლამაზს, თაროდან გადმოიღებდნენ სპილენძის (სპეციალურად სათათრე) ქვაბს, საგულდაგულოდ შენახულ სათათრე ხის კოვზს, ქაფ-

ქირს, მაგრამ არც პაპები იყვნენ გულხელდაკრეფილები. წინასწარ იმარაგებდნენ შეშას, რომელიც ისეთ ცეცხლს გამოყოფდა, რომ ზედადგარზე ნაცარმოყრილ საფარზე შემოდგმულ თათარის ქვაბს თანაბარზომიერად გაუნაწილებდა საჭირო ტემპერატურას. წისქვილიდან თეთრი მიტკლის პარკებით პირველჩამოფუჭულ ფქვილს (სანამ წისქვილის ქვაბი გახურდებოდა) მოიტანდნენ. ჩურჩხელების გასაკიდი „ხარისებიც“ მათი მოტანილი იყო ტყიდან.

და თათარას მოდუღებას რაღა უნდოდ? ამ ჩამონათვალში ატმის ჩირის ნახარშიც არ უნდა დაგვაიწყდეს, რომელსაც ჩვენი დიდი ბებიები თათარას „დახეღვისას“ უმატებდნენ ნელ-ნელა, დაგემოვნებით.

თინა ილაური

მანცხალება

შპს 'თამარ გარეჯელ'-მა საგარეჯოს №1 საბავშვო ბაღის შენობის მესამე სართულზე გახსნა საშუალო განათლების საატესტატო და უმაღლესი სასწავლებლის სააბიტურიენტო მოსამზადებელი კურსები X-XII კლასებისათვის შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ქიმია, უცხო ენა, (ინგლისური, გერმანული, რუსული) ბიოლოგია, გეოგრაფია, ისტორია, ზოგადი უნარები, კომპიუტერის შესწავლა. მოწვეულნი არიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

მსურველებს შეგიძლიათ მოგვაკითხოთ სტალინის ქ. №15-ში 10 დან-16 საათამდე. ტელ 24-24-29; 599-16-24-43

საქართველო რჩეულები

თუ ნაღვლის ბუშტი ბაწუხ-ებთ – კენჭები, სილით, და შიმ-ღვრეული ნალექით

ავიღოთ 1 კგ წითელი ხახვი (საშუალო ზომის) გასუფთავებული, დაჩხვლეტილი და გარეცხილი, დავამატოთ ერთი კგ. შაქრის ფხვნილი, 3 ლიტრი წყალი და მოვხარშოთ. ხარშვის დასასრულს გახდება ქარვის ფერი, წყალი დააშრება ისე, როგორც ყველა მურაბის წვენი შრება ნაყოფის მოხარშვისას.

მიღების წესი: მივიღოთ ყოველი ჭამის წინ 3-4 ცალი 30 წუთით ადრე ჭამამდე დარჩენილი წვენიც გავსხნათ წყალში და მივიღოთ.

რჩევა: 1 კგ-ზე მეტს ნუ მოხარშავთ, ერთ მიღებაზე (10 დღე) 10 დღის ინტერვალის შემდეგ კვლავ გაიმეორეთ. სასურველია ოქტომბერსა და თებერვალში დავიწყეთ და მივიღოთ ხახვის მურაბა 10 დღიანი ინტერვალით 3 კურსით.

* * *

მეკახე პამიდურის მწნილი 3-4 ცალი მივიღოთ ჭამამდე 30 წუთით ადრე (სასურველია, თუ უზმოზე 2 საათით ადრე მიიღებთ).

ქართული სუფრა

ტრადიციული ქართული სუფრა ოთხგვარია: ყოველდღიური, საქორწინო, კალენდარული და რელიგიური დღეობებისა, თაღისი, ანუ ჭირისა (სამგლოვიარო).

თაღისი სუფრა იწვევს სადღევრძელოთა შემჭიდროებულ რიგს, ლაკონურობას, სიბრძნეს. ჭირის სუფრაზე შვიდი, იშვიათად ცხრა სადღევრძელო ისმებოდა, დროცა და სასმელიც ზომიერად ისარჯებოდა. შეზღუდული იყო წრე იმ ადამიანებისა, ვინც ჭირის სუფრაზე იკრიბებოდა – ახლო ნათესაობა, ოჯახთან დაახ-

ლოებული ხალხი.

ქართული სუფრა ტრადიციულად დღეთის სადილებელი სადღევრძელოთი იწვევდა, მას მოსდევს მშვიდობის სადღევრძელო, ცოცხლების დღევრძელობა, გარდაცვლილთა გახსენება. ბოლოს კი შეისმებოდა ყოველადწმინდა დღეთისმშობლის სადღევრძელო – საყოველადწმინდო.

როგორ ვიხრნოთ მიხვალაგულთა სულეისათვის

გაგრძელება

2. ღოცვა მიხვალაგულთათვის

ა) პანაშვიდი

ახლადშესვენებულს ეკლესიაში უნდა გადაუხადოთ პანაშვიდი:

პირველ დღეს როცა გარდაიცვლება; მე-3 დღეს როდესაც პირველად წარდგება უფალთან; მე-9 დღეს როდესაც მეორედ წარდგება უფალთან; მე-40 დღეს როცა ის პირად სამსჯავროზეა.

და ამის შემდეგ გარდაცვლების ყოველ წლისთავსა და დაბადების დღეზე. გარდა ამისა, როგორც საზოგადოლოცვების განხილვისას აღვნიშნეთ, ეკლესიაში წლის განსაკუთრებულ დღეებში დანიშნულია საზოგადო პანაშვიდები (ეს დღეები ყოველწლიურად უნდა ვხახოთ საეკლესიო კალენდარში, ან შევიტყუოთ ეკლესიაში), რომელსაც უნდა დაესწროს ჭირისუფალი.

კარგი იქნება, თუ მეორმოცე დღისათვის შევუკვეთათ წირვის მიხვალაგულთა სახელზე, რომელსაც დაესწრობან ოჯახის წევრები და მიიღებენ წმინდა ზიარებას შესაბამისად მომზადებულნი. ამის შემდეგ სასურველია დროდადრო კიდევ შევუკვეთოთ წირვები. ძველი ტრადიციით მიხვალაგულთათვის შვიდი წირვა სრულდება.

ბ) წესის აგება

გასვენების დღეს მიხვალაგულს წესი უნდა ავუგოთ; წესის აგებას ასრულებს

მღვდელი ან ოჯახში ცხედართან, ან ეკლესიაში.

თუ განსვენების დღეს რაიმე მიზეზით წესის აგება არ ხერხდება, შეიძლება შესრულდეს ადრეც. აგრეთვე, ამ ღოცვის შესრულება შეიძლება ძველი მიხვალაგულთათვისაც, რომელსაც თავის დროზე წესი არ აუგეს.

სასურველია ოთახში მიხვალაგული იყოს დასვენებული, რომ აღმოსავლეთს უყურებდეს (თუ ფართობი საშუალებას გვაძლევს). მას თავთან უნდა ედგას ნაკურთხი წყალი, ხორბალი და ენთოს კანდელი (კანდელი არის მცირე ზომის ჭურჭელი ზეთით, რომელშიც ჩადებულია ბამბის პატრუქი. იგი შეიძლება შეიძინოთ ეკლესიაში ან დავაამზადოთ სახლში). მიხვალაგულთან შეიძლება ენთოს სანთელიც.

გ) ფსალმუნების კითხვა

მიხვალაგულთათვის ოჯახის წევრებმა და ახლობლებმაც უნდა ილოცონ. ყველაზე კარგი, ტრადიციული ფორმა არის საგალობლების კითხვა წმ. დავით წინასწარმეტყველის "ფსალმუნებიდან", რომელიც იყიდება ეკლესიაში. წიგნი სანიშნით მიხვალაგულთან ახლოს, გამოსაჩენად ადგილას უნდა იდოს, რომ ყველა მსურველს შეეძლოს წაკითხვა, რაც მიხვალაგულთათვის სულს დიდ შემწობას უწევს.

ავიღებთ წიგნს, გავაგრძელებთ კითხვას დანიშნული ადგილიდან. წაკითხვათ სადამდეც შეეძლებოთ, დავნიშნავთ და დავებთ თავის ადგილზე, რომ შემდეგ სხვა მსურველმაც წაკითხოს. გასვენებამდე რაც მეტჯერ მოესწრება წიგნის ბოლომდე წაკითხვა, მით უკეთესი.

ძველად ფსალმუნებს შეუწყვეტლად უკითხავდნენ მიხვალაგულს მთელი დღე-ღამის განმავლობაში. აქედან მოდის დღემდე შემორჩენილი ტრადიცია ცხედართან ღამისთევსა. ასე, რომ თუ ჭირისუფალი მიხვალაგულს ღამეს უთევნს, სასურველია რიგრიგობით ფსალმუნების კითხვა.

დ) მიხვალაგულთა მოხსენება საზოგადო ღოცვის დროს

მიხვალაგულთა სული, გარდა საკუთრივ მისთვის მიძღვნილი ღოცვისა, შეიძლება მოვიხსენოთ საზოგადო ღოცვაშიც.

მოხსენება კვეთაში. მეტად მნიშვნელოვანია მოხსენება მღვდლის მიერ წირვის დროს. წირვის დაწყებამდე დილით ან წინა საღამოს ეკლესიაში უნდა შევიძინოთ საგანგებოდ გამოცხვარი მცირე ზომის პური – სეფისკერი; შემდეგ ფურცელზე დავწეროთ "გარდაცვლილი" და ჩამოვწეროთ ახლობელ მიხვალაგულთა სახელები.

(ტრადიციულად მიხვალაგულთათვის შევიძინოთ ხოლმე ჯვრის გამოსახულებიან, ხოლო ცოცხალი ადამიანის მოსახსენებლად – ყოველადწმინდა სამების ან ყოველადწმინდა დღეთისმშობლის გამოსახულებიან სეფისკერს. ერთი სეფისკერი შეიძლება შეიზავნოს ერთი ან რამდენიმე ადამიანისათვის). სეფისკერსა და მოსახსენებელ ფურცელს დავტოვებთ შესაბამის ადგილზე, საიდანაც მნათე შეიტანს საკურთხეველში. მღვდელი წირვის დროს ამ სეფისკერიდან მოხსენებულთა სახელებზე ლახვრით ამოკვეთს მცირე ზომის ნაწილებს, შეწირავს მსხვერპლად და წირვის ბოლოს ჩაუშვებს წმ. ბარძიმში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: არის შემთხვევები, როდესაც მიხვალაგულთა მოხსენება კვეთაში არ შეიძლება:

1. თუ ადამიანი არ იყო მონათლული მართლმადიდებლურად;
2. თუ იგი სიცოცხლის ბოლომდე გამოცხვარდა;
3. თუ თავისი სიცოცხლე შეგნებულად დაამთავრა თვითმკვლელობით.

თუ რა ვიღონოთ ასეთი მიხვალაგულთათვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოძღვართან უნდა გავარკვიოთ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

რედაქტორი: თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნე“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
577 951 488